საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის

აკადემიური საბჭოს

2017 წლის 19 სექტემბრის

დადგენილება № 2555

ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე
შემუშავებული მოდიფიცირებული
პროფესიული საგანმანათლებლო
პროგრამების დამტკიცების შესახებ

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო ადგენს:

სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის ფაკულტეტის მიერ წარმოდგენილი მოხსენებითი ბარათის საფუძველზე განხორციელდეს ცვლილებები სტუ-ს აკადემიური საბჭოს 2017 წლის 12 აგვისტოს №2544 დადგენილებით, ავტორიზაციის მიზნით, დამტკიცებულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებში „მექანიკის ინჟინერიის ტექნიკოსი“ და „მექატრონიკა“ და დამტკიცდეს მოდიფიცირებული სახით.

დადგენილებას თან ერთვის სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის ფაკულტეტის მიერ წარმოდგენილი მოხსენებითი ბარათი (იხ. დანართი).

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე ა. ფრანგიშვილი

აკადემიური საბჭოს მდივანი გ. სალუქვაძე

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს
2017 წლის 19 სექტემბრის№ 2555 დადგენილების დანართი

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
რექტორს, ბატონ არჩილ ფრანგიშვილს

სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის
ფაკულტეტის დეკანის ოთარ გელაშვილის

მ ო ხ ს ე ნ ე ბ ი თ ი ბ ა რ ა თ ი

წარმოგიდგენთ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების მოდიფიცირებას აკადემიურ საბჭოზე განხილვისა და დამტკიცების მიზნით.

1. მოდიფიცირება განიცადა ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილმა პროფესიულმა საგანმანათლებლო პროგრამამ „სატრანსპორტო ლოგისტიკის ოპერატორი". აღნიშნული მოდიფიცირების მიზანია განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2017 წლის 14 აგვისტოს N 502 ბრძანებით დამტკიცებულ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტთან „ლოგისტიკა და პორტის მენეჯმენტი/Logistics and port management. (სარეგისტრაციო ნომერი: 04113-პ)" შესაბამისობაში მოყვანა.

   ვინაიდან, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტი ითვალისწინებს მეოთხე საფეხურზე სატვირთო გადაზიდვების ლოგისტიკის პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭებას, შესაბამისად პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება „სატრანსპორტო ლოგისტიკის ოპერტორი" დაზუსტდა შინაარსის შესაბამისად და ეწოდა „სატვირთო გადაზიდვების ლოგისტიკა" .

   ასევე, განხორციელდა კრედიტების ცვლილება ჩარჩო დოკუმენტის შესაბამისად და მოდიფიცირებული პროფესიული პროგრამა „სატვირთო გადაზიდვების ლოგისტიკა" წარმოდგენილია 69 კრედიტით ნაცვლად 106 კრედიტისა.

მოგახსენებთ, რომ ჩარჩო დოკუმენტთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით საგმანანათლებლო პროგრამამ განიცადა მოდიფიცირება კერძოდ:

სავალდებულო ზოგადი მოდულები გახდა 15 კრედიტი (ინტერპერსონალური კომუნიკაცია - 3 კრედიტი, რაოდენობრივი წიგნიერება - 2 კრედიტი, ინფორმაციული წიგნიერება 1-3 კრედიტი, მეწარმეობა 2 -2 კრედიტი, უცხოური ენა - 5 კრედიტი), ნაცვლად 20 კრედიტისა (კომუნიკაცია - 3 კრედიტი, რაოდენობრივი წიგნიერება - 2 კრედიტი, საინფორმაციო ტექნოლოგიები - 4 კრედიტი, მეწარმეობა - 5 კრედიტი, პიროვნული და ინტერპერსონალური უნარები - 1 კრედიტი, უცხოური ენა - 5 კრედიტი).

სპეციალიზაციის პროფესიული/დარგობრივი მოდულები გახდა 54 კრედიტი (გაცნობითი პრაქტიკა - სატვირთო გადაზიდვების ლოგისტიკა- 2 კრედიტი, ლოგისტიკის საფუძვლები-5 კრედიტი, გადაზიდვების ხარჯების კალკულაცია-4,5 კრედიტი,

გადაზიდვის მომზადება-4,5 კრედიტი, საწყობის ლოგისტიკა-5 კრედიტი, საავტომბილო გადაზიდვები-4 კრედიტი, საავიაციო გადაზიდვები-4 კრედიტი, საზღვაო გადაზიდვები-4 კრედიტი, სარკინიგზო გადაზიდვები-6 კრედიტი, პრაქტიკული პროექტი-სატვირთო გადაზიდვების ლოგისტიკა- 3 კრედიტი, საწარმოო პრაქტიკა-12 კრედიტი) ნაცვლად 66 კრედიტისა (გაცნობითი პრაქტიკა - სატრანსპორტო ლოჯისტიკის ოპერატორი- 2 კრედიტი, საწარმოო პრაქტიკა -სატრანსპორტო ლოჯისტიკის ოპერატორი- 12 კრედიტი, პრაქტიკული პროექტი - სატრანსპორტო ლოჯისტიკის ოპერატორი- 6 კრედიტი, სატვირთო გადაზიდვების ლოჯისტიკა- 7 კრედიტი, სამგზავრო გადაყვანების დაგეგმვა- 8 კრედიტი, სატრანსპორტო დოკუმენტაცია- 6 კრედიტი, სატვირთო გადაზიდვების მონიტორინგი-6 კრედიტი, შრომითი და ეკოლოგიური უსაფრთხოება-3 კრედიტი, შეკვეთის დამუშავება (გაფორმება)- 5 კრედიტი, ტვირთისა და გადზიდვის სახეები -5 კრედიტი, ლოჯისტიკური დანახარჯები გადაზიდვა/გადაყვანის დროს -6 კრედიტი).

მოგახსენებთ, რომ **არჩევითი პროფესიული მოდულები** პროფესიულ პროგრამაში გაერთიანდა დარგობრივ მოდულებში 18 კრედიტი (საავტომობილო გადაზიდვები-4 კრედიტი, საავიაციო გადაზიდვები - 4 კრედიტი, საზღვაო გადაზიდვები-4 კრედიტი, სარკინგზო გადაზიდვები- 6 კრედიტი), ხოლო არჩევითი ორი მოდული თავისუფალია ინდუსტრიული ზონები- 3 კრედიტი და საქონლის რეექსპორტი- 2 კრედიტი ამოღებულია პროგრამიდან.

2. მოდიფიცირება განიცადა ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილმა პროფესიულმა საგანმანათლებლო პროგრამამ „ფეხსაცმლისა და ტყავის აქსესუარების სპეციალისტი". აღნიშნულის საფუძველი გახდა განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის 2017 წლის 16 აგვისტოს N510 ბრძანებით განხორციელებული ცვლილება „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტების დამტკიცების შესახებ" 2015 წლის 28 ივლისის N536 ბრძანებაში. აქედან გამომდინარე, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისათვის „ფეხსაცმლისა და ტყავის აქსესუარების სპეციალისტი", დამტკიცდა ახალი რედაქციით. სადაც პროგრამის მოცულობა არის 106 კრედიტი (ნაცვლად 121 კრედიტისა).

შესაბამისად, ჩარჩო დოკუმენტთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით საგანმანათლებლო პროგრამამ „ფეხსაცმლისა და ტყავის აქსესუარების სპეციალისტი" განიცადა მოდიფიცირება. კერძოდ:

მოდიფიცირებულ პროგრამაში **სავალდებულო ზოგადი მოდულები წარმოდგენილია 17 კრედიტით** (ინტერპერსონალური კომუნიკაცია - 3 კრედიტი, რაოდენობრივი წიგნიერება - 2 კრედიტი, ინფორმაციული წიგნიერება 1-3 კრედიტი, მეწარმეობა 2-2 კრედიტი, უცხოური ენა - 5 კრედიტი, სამოქალაქო განათლება - 2 კრედიტი), ნაცვლად 20 კრედიტისა (კომუნიკაცია - 3 კრედიტი, რაოდენობრივი წიგნიერება - 2 კრედიტი, საინფორმაციო ტექნოლოგიები - 4 კრედიტი, მეწარმეობა - 5 კრედიტი, პიროვნული და ინტერპერსონალური უნარები - 1 კრედიტი, უცხოური ენა - 5 კრედიტი);

სავალდებულო პროფესიული მოდულები 80 კრედიტი დარჩა უცვლელი (გაცნობითი პრაქტიკა-ფეხსაცმლისა და ტყავის აქსესუარების სპეციალისტი - 2 კრედიტი, საწარმოო

პრაქტიკა-ფეხსაცმლისა და ტყავის აქსესუარების სპეციალისტი - 12 კრედიტი, პრაქტიკული პროექტი - ფეხსაცმლისა და ტყავის აქსესუარების სპეციალისტი - 6 კრედიტი, უსაფრთხოების წესების დაცვა ფეხსაცმლისა და ტყავის აქსესუარების წარმოებისას - 1 კრედიტი, ფანქრით და წყლის საღებავებით ხატვა - 5 კრედიტი, ფეხსაცმლისა და აქსესუარების კომპოზიციის შექმნა - 5 კრედიტი, ფეხსაცმლისა და ტყავის აქსესუარების მასალების შერჩევა და გამოჭრა - 3 კრედიტი, ნავისებური ფეხსაცმლისა და ნახევარწაღის მოდელირება/კონსტრუირება - 8 კრედიტი, ჩექმისა და წაღის მოდელირება/კონსტრუირება - 8 კრედიტი, ტყავის აქსესუარების მოდელირება/კონსტრუირება - 7კრედიტი, ფეხსაცმლის ნამზადის კერვის ტექნოლოგია - 8 კრედიტი, ფეხსაცმლის დამზადების ტექნოლოგია - 8 კრედიტი, ტყავის აქსესუარების ტექნოლოგია - 7 კრედიტი).

მოდიფიცირებულ პროგრამაში **არჩევითი მოდულები წარმოდგენილია 17 კრედიტით** (ფეხსაცმლის სამომხმარებლო თვისებების ხარისხის კონტროლი - 5 კრედიტი, ფეხსაცმლის, ტყავის აქსესუარების შეკეთება - 4 კრედიტი და გობელენის ქსოვა – 8 კრედიტი), **ნაცვლად 21 კრედიტისა** (ფეხსაცმლის სამომხმარებლო თვისებების ხარისხის კონტროლი - 5 კრედიტი, ფეხსაცმლისა და ტყავის აქსესუარების შეკეთება - 4 კრედიტი, გობელენის ქსოვა (დეკორატიულ გამოყენებითი ქსოვილების სპეციალისტის პროგრამიდან) - 8 კრედიტი, ქვილთი-ნაკეთობის მხატვრული დამუშავება (დაგვირისტება) - (დეკორატიულ გამოყენებითი ქსოვილების სპეციალისტის პროგრამიდან) - 4 კრედიტი).

საერთო ჯამში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „ფეხსაცმლისა და ტყავის აქსესუარების სპეციალისტი“ წარმოდგენილია 114 კრედიტის სახით.

3. ასევე, განხორციელდა პროფესიული პროგრამების „ფეხსაცმლისა და ტყავის აქსესუარების სპეციალისტი“ და ,,სატრანსპორტო ლოგისტიკის ოპერატორი (მოდიფიცირებული სახელწოდებით –სატვირთო გადაზიდვების ლოგისტიკა“ მოდიფიცირება სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის 2016 წლის 4 აგვისტოს N733 ბრძანებაში "პროფესიული სტანდარტის, საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის და მოდულის შემუშავების წესის დამტკიცების შესახებ" სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის 2017 წლის 16 აგვისტოს №512 ბრძანებით შესულ ცვლილებებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით. კერძოდ, ზემოთ აღნიშნული საგანმანათლებლო პროფესიული პროგრამების მეშვიდე პუნქტი ჩამოყალიბდა შემდეგი სახით: **„მოდულების, ქართული ენა A2 და ქართული ენა B1 გავლა სავალდებულოა მხოლოდ იმ პროფესიული სტუდენტებისთვის,** რომლებმაც **პროფესიულ** საგანმანათლებლო **პროგრამაზე** სწავლის **უფლება** მოიპოვეს **,,პროფესიული ტესტირების** ჩატარების **დებულების** დამტკიცების **თაობაზე''** საქართველოს **განათლებისა** და **მეცნიერების** მინისტრის **2013** წლის **27** სექტემბრის ბრძანება **№152/**ნ ბრძანებით **დამტკიცებული დებულების** მე**-4** მუხლის მე**-2** პუნქტით **გათვალისწინებულ** რუსულ**, აზერბაიჯანულ ან სომხურ ენაზე ტესტირების გზით“.**

4. ვინაიდან, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ,,მაქატრონიკა“ და ,,მექანიკის ინჟინერიის ტექნიკოსი“ არ ხორციელდება დუალურად, შესაბამისად განხორციელდა პროგრამების მე–12 პუნქტის ადაპტირება სწავლების რეალური მოდგომების შესაბამისად და ჩანაწერი ,,შეზღუდული შესაძლებლობისა და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ჩართულობის

უზრუნველყოფის მიზნით ასეთი პირები მოდულებზე დაიშვებიან მოდულის წინაპირობის/წინაპირობების დაძლევის გარეშე.

პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში სავალდებულო პროფესიული მოდულებით გათვალისწინებული სწავლის შედეგებისთვის გამოყოფილი კრედიტების საერთო მოცულობის 50% -ზე მეტი რეალურ სამუშაო გარემოში მიიღწევა. კვალიფიკაციის მინიჭების დამატებითი პირობაა საკვალიფიკაციო გამოცდის ჩაბარება“ ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით: „შეზღუდული შესაძლებლობისა და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ჩართულობის უზრუნველყოფის მიზნით ასეთი პირები მოდულებზე დაიშვებიან მოდულის წინაპირობის/წინაპირობების დაძლევის გარეშე.“

5. განხორციელდა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ,,მაქატრონიკა“ და ,,მექანიკის ინჟინერიის ტექნიკოსი“ სასწავლო გეგმებში ტექნიკური ხარვეზის გასწორება და ნაცვლად ქართული ენა A_1 და ქართული ენა A_2 წარმოდგენილია შესწორებული ჩანაწერით ქართული ენა A_2 და ქართული ენა B_1.

დეკანი ოთარ გელაშვილი